საქართველო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი
GEORGIA
Mayor of Kutaisi Municipality

N 01/18000
14/08/2019

18000-01-2-201908141104

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს
მის: ქ. თბილისი; მარშალ გელოვანის გამზ. №6

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ ევროკავშირის შავი ზღვის 2014-2020 წლების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის „მდინარეები ნარჩენების გარეშე - სუფთა შავი ზღვა“ ფარგლებში ქ.ქუთაისის ტერიტორიაზე იქმნება მწვანე ნარჩენების კომპოსტირების ცენტრი, სადაც დაგეგმილია ქალაქის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მწვანე ნარჩენების გადამუშავება/კომპოსტირება.

აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 26 ივლისის N2-715 ბრძანების საფუძველზე გაცემულია სკოპინგის N71 დასკვნა.

სკოპინგის დასკვნის პირობებისა და საქართველოს ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ, ამ კოდექსის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ შემდეგ გარემოსდაცვით დოკუმენტაციას:

1. პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში - 1 ეგზ და ელექტრონული ვერსია ;
2. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ გაფრქვევათა (ზდგ) ნორმების პროექტი - 2ეგზ და ელექტრონული ვერსია;
3. არატექნიკური რეზიუმე - 1 ეგზ და ელექტრონული ვერსია ;
4. საპროექტო ტერიტორიის Shape ფაილები;
5. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
6. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
7. გზშ-ს მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
8. მწვანე ნარჩენების კომპოსტირების ცენტრის მოწყობისა და ექსპლუატაციის გზშ-ს ანგარიშის მომზადებაში მონაწილე ექსპერტთა და კონსულტანტთა სია - 1 ეგზემპლარი.

პატივისცემით,

გიორგი ჭიღვარია

№ 11770
15 08 2019
2 ფ.
+ 02 +

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი